მოწყობილობის დანიშნულება

მაცივარი არის მოწყობილობა, რომელიც ინარჩუნებს დაბალ ტემპერატურას თბოიზოლირებულ კამერაში. ჩვეულებრივ გამოიყენება საკვების ან იმ საგნების შესანახად, რომლებიც საჭიროებენ გრილ ადგილას განთავსებას.

უსაფრთხოების მოთხოვნები

ყურადღება!

- არ მისცეთ ბავშვებს მოწყობილობით თამაშის უფლება, რადგან მათ შეიძლება მიიღონ ტრავმა ან დააზიანონ მოწყობილობა.
- არ მისცეთ ბავშვებს მოწყობილობის დამოუკიდებლად გაწმენდისა და ტექნიკური მომსახურების უფლება.
- არ მისცეთ ბავშვებს უფლება ჩამოეკიდონ მოწყობილობის კარებსა თუ კარის თაროებს.
- არ მისცეთ ბავშვებს მოწყობილობის შიგნით ჩაძრომის უფლება. ისინი შესაძლოა შიგნიდან ჩაიკეტონ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ტრავმები ან სიკვდილი გაგუდვის შედეგად.
- გაგუდვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად, შეფუთვის ელემენტები და მოწყობილობის დეტალები შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას. არ დატოვოთ შეფუთვის ელემენტები აკვნებთან, საბავშვო საწოლებთან, ეტლებთან და მანეჟებთან ახლოს.

უსაფრთხოების ზომები

- უსაფრთხოების მიზნით, მოწყობილობის დამონტაჟებამდე და ექსპლუატაციამდე ყურადღებით წაიკითხეთ მოცემული სახელმძღვანელო, ყველა გაფრთხილებისა და შენიშვნის ჩათვლით.
- დარწმუნდით, რომ ყველა პირი, ვინც იყენებს მოცემულ მოწყობილობას, გაცნობილია ექსპლუატაციის სახელმძღვანელოსა და უსაფრთხოების ზომებს.
- შეინახეთ ექსპლუატაციის სახელმძღვანელო მოწყობილობის მუშაობის მთელი ვადის განმავლობაში.
- არ გამოიყენოთ მექანიკური მოწყობილობები ან სხვა საშუალებები გალღობის პროცესის დასაჩქარებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც რეკომენდებულია მწარმოებლის მიერ.
- არ გამოიყენოთ ელექტროხელსაწყოები მოწყობილობის განყოფილებებში (მაგალითად, ნაყინის დასამზადებელი მანქანები), თუ ისინი არ არის რეკომენდებული მწარმოებლის მიერ მსგავსი ფორმით გამოსაყენებლად.
- არ შეინახოთ მოწყობილობაში ფეთქებადი მასალების შემცველი ჭურჭელი.